ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №-24

2010 წლის 1 აპრილი
ქ.ქობულეთი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ზოგიერთ ობიექტზე საარჩევნო პლაკატების გაკვრის აკრძალვის შესახებ

„ადგილობრივი თვითმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლისა და საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 75-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად:

1.აიკრძალოს საარჩევნო პლაკატების გაკვრა საკულტო ნაგებობებზე, სახელმწიფო ხელისუფლების და ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოების, სასამართლოების, პროკურატურის, სამხედრო შენაერთებისა და პოლიციის შენობების ინტერიერსა და ექსტერიერში, საგზაო ნიშნებზე, აგრეთვე ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე კულტურულ ისტორიული მნიშვნელობის ძეგლებზე თანახმად №-1 დანართისა.

2. საარჩევნო პლაკატების გაკვრა ნებადართულია პირველი მუხლით გათვალისწინებული ადგილების გარდა სხვა შენობა-ნაგებობებზე „ შენობა-ნაგებობების მეპატრონესთან შეთანხმებით“.

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს (ჯ.ჯინჭარაძე);

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.№-30).

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ჯ.ჯინჭარაძე